



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

17 თებერვალი, 2020 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი კერძო სამართლის იურიდიული პირი - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	400028859
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	განათლების კვლევები და ადმინისტრირება
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	განათლების მეცნიერებების მაგისტრი, 0301
სწავლების ენა	ქართული ენა
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ავტორიზებული 2019 წლის 25 ივნისიდან

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ ბანძელაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დიანა მჭედლიშვილი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ტალიკაძე, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

✓ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის (შემდეგში მოხსენიებული როგორც „უნივერსიტეტი“) მიერ წარმოდგენილი განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად კვალიფიკაციის სირთულის მე-7 დონეს შეესაბამება. პროგრამის შედეგად მისანიჭებელია კვალიფიკაცია განათლების მეცნიერებების მაგისტრი. კვალიფიკაციის კოდია: 0301. წარმოდგენილი პროგრამა აკრედიტირებულია 2014 წელს, 25 ივნისის აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების #137-ის საფუძველზე. პროგრამას აკრედიტაციას ვადა გაუვიდა 2019 წლის 25 ივნისს, შესაბამისად იგი რეაკრედიტაციაზე დაგვიანებით შემოვიდა. უნივერსიტეტს 2015 წლის 03 ივნისის საბჭოს #13 გადაწყვეტილებით მიღებული აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უნივერსიტეტის) სტატუსი და შესაბამისად ჰქონდა უკვე აკრედიტირებული პროგრამების, მათ შორის, განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების განხორციელების უფლებამოსილება, უნივერსიტეტმა შეძლო 2019 სასწავლო წლისათვის სტუდენტების მიღება და მათი შესაბამისი სახელმწიფო გრანტის ტოლფასი შიდა საუნივერსიტეტო გრანტით უზრუნველყოფა.

განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას გააჩნია რამდენიმე წინაპირობა. კანდიდატს უნდა გააჩნდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ნებისმიერ სფეროში, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საფუძველზე. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებით ვლინდება ცოდნის ზოგადი დონე არჩეული სპეციალობის კუთხით და ინგლისური ენის კომპეტენცია. ინგლისური ენის ტესტირება შეიძლება გათავისუფლდეს კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სერთიფიკატს (TOEFL PBT, TOEFL IBT, IELTS, Cambridge Exam), ან ვისაც გავლილი აქვს ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის სრული ან არასრული კურსი.

წარმოდგენილი პროგრამის შინაარსი შედგენილია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად (მუხლი 46²). სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობაა 4 (ოთხი) სემესტრი. სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 57-ისა. საერთო ჯამში, განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS, რომელთაგან სავალდებულო სასწავლო კომპონენტი შეადგენს 72 ECTS, არჩევითი 18 ECTS და სამაგისტრო ნაშრომი - 30 ECTS. პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესის“ მიხედვით, რომელიც არეგულირებს უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების და მათში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესსა და პროცედურებს.

განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას ახორციელებს უნივერსიტეტის ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი (6 პროფესორი, მათ შორის 1 უცხოელი, 4 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ-

პროფესორი და 4 მოწვეული პერსონალი, მათ შორის 5 აფილირებული აკადემიური პერსონალი), რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია

✓ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი დაიგეგმა განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ სსიპ - განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის დირექტორის **2019 წლის 16 დეკემბრის #1206 ბრძანების** საფუძველზე. ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 9 იანვარს და წარმოდგენილი პროგრამა შეაფასა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა.

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა. მიზნიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფს წინასწარ მიეწოდა უნივერსიტეტის მიერ ცენტრში წარმოდგენილი პროგრამის სააკრედიტაციო მასალა.

ვიზიტის განმავლობაში შეხვედრები გაიმართა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის წევრებთან, ხარისხის სამსახურის თანამშრომლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან, ადმინისტრაციის თანამშრომლებთან. ვიზიტის განმავლობაში გასაუბრება მოხდა მაგისტრატურის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. აქვე აღსანიშნავია, რომ ინტერვიუები გაიმართა დამსაქმებლებთან, რომლებიც ჩართულები იყვნენ პროგრამის შემუშავების პროცესში.

ექსპერტების ჯგუფს ჰქონდათ შესაბამისი დრო დაესვათ კითხვები, ჩაენიშნათ ინფორმაცია და გამოეტანათ სათანადო დასკვნები. ვიზიტის დასრულების შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის თანამშრომლებს ძირითადი მიგნებები გააცნო.

✓ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სტანდარტები ძირითადად შესაბამისობაშია განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

რეკომენდაციები

- ✓ მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს პროგრამის მიზნების, შედეგების ან შინაარსობრივი მხარის შესახებ მუდმივი კომუნიკაცია პროგრამის ჩამოყალიბებაში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებთან. აღნიშნული გაზრდის პროგრამის განვითარების პერსპექტივებს მუდმივი დიალოგის რეჟიმში.
- ✓ მნიშვნელოვანია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე დამატებითი აკადემიური პერსონალის მობილიზება სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობის მიზნით.
- ✓ რეკომენდებულია, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამდიდრება განათლების სფეროს თეორეტიკოს-მკვლევარებით, რაც მნიშვნელოვნად გააძლიერებს პროგრამის ადამინურ რესურსს და პროგრამის ფარგლებში კვლევების განხორციელების პოტენციალს.

- ✓ რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების რაოდენობის გაზრდა, მათ შორის ისეთი პროფესურით, რომლებსაც უფიქსირდებათ ბოლო 5 წლის განმავლობაში დარგში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები.
- ✓ რეკომენდებულია, გაძლიერდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციები პროგრამის დონეზე, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის პაკეტის სრულყოფილად გადახედვას და დახვეწას, ასევე პროგრამის განვითარებაში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებთან უფრო მჭირდო და სისტემატურ თანამშრომლობას და მათთვის უკუკავშირის დროულ მიწოდებას.
- ✓ რეკონდებულია, შემუშავდეს ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების და შეფასების შედეგებზე რეაგირების ანგარიშები პროგრამასთან მიმართებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ✓ სასურველია გააზრებული და წარმოდგენილი იყოს არჩევითი კურსების განფენილობა პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებაში და სწავლის დონის მიხედვით. შესაბამისად, სტუდენტები შეძლებენ პროგრამაში შემავალი ყველა სასწავლო კურსი კომპლექსურად გაიაზრონ და ინფორმირებული გადაწყვეტილება მიიღონ არჩევით კურსებთან მიმართებაში.
- ✓ მნიშვნელოვანია სასწავლო კურსების სწავლის შედეგების დალაგება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №69/ნ-ის მიხედვით, მოთხოვნების შესრულებისთვის განსაზღვრული ვადაა 2020 წლის 30 სექტემბერი, სწავლის შედეგების შესაბამისად დალაგება მეტ სიცხადეს შემატებს პროგრამის დოკუმენტს და თითოეული საგნის სწავლის შედეგებს.
- ✓ რეკომენდებულია დაიხვეწოს სტანდარტში მითითებული სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმულირება, რათა იგი მეტად შესაბამისი იყოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი განსაზღვრული კვალიფიკაციის მე-7 დონის ელემენტების სირთულესთან.
- ✓ სასურველია აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის გაძლიერების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმების შემუშავება.
- ✓ სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის ამაღლების მიზნით, სასურველია დამატებით ჩატარდეს ტრენინგები/კონსულტაციები მაგისტრანტებისთვის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში მუშაობასთან, ღირებული სამეცნიერო ნაშრომების ამოცნობასთან დაკავშირებით და სხვ.
- ✓ სასურველია გაკონტროლდეს სამაგისტრო ნაშრომის შესაბამისობა აკადემიურ მოთხოვნებთან, კერძოდ, მეტი ყურადღება მიექცეს ნაშრომის სტრუქტურის და აკადემიური წერის სტანდარტების დაცვას.

- ✓ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- ✓ თითოეული სასწავლო კურსის სილაბულში მოცემულია საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის სქემა, რაც ნამდვილად საუკეთესო პრაქტიკაა და უზრუნველყოფის სტუდენტისთვის საგანთან დაკავშირებით ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებას.
- ✓ აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების და წახალისების მექანიზმები, რომლებიც მოიცავს ტრენინგების ჩატარებას, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის და გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიების/წიგნების დაფინანსებას, სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების ანაზღაურების ბონუსურ სისტემას.
- ✓ განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის (შემდგომში მოხსენიებული როგორც „უნივერსიტეტი“) მიერ წარმოდგენილი განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად კვალიფიკაციის სირთულის მე-7 დონეს შეესაბამება. პროგრამის შედეგად მისანიჭებელია კვალიფიკაცია განათლების მეცნიერებების მაგისტრი. კვალიფიკაციის კოდია: 0301

წარმოდგენილი პროგრამა აკრედიტირებულია 2014 წელს, 25 ივნისის აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების #137-ის საფუძველზე. პროგრამას აკრედიტაციას ვადა გაუვიდა 2019 წლის 25 ივნისს, შესაბამისად იგი რეაკრედიტაციაზე დაგვიანებით შემოვიდა. აღნიშნულს, პროგრამის ხელმძღვანელები და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ხსნის, ერთის მხრივ, უნივერსიტეტში მიმდინარე რეორგანიზაციის პროცესის, ხოლო, მეორეს მხრივ, პროგრამის განახლების მიზნით კომპლექსური პროცესის წარმართვით. აღსანიშნავია, რომ ვინაიდან უნივერსიტეტს 2015 წლის 03 ივნისის საბჭოს #13 გადაწყვეტილებით მიღებული აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უნივერსიტეტის) სტატუსი და შესაბამისად ჰქონდა უკვე აკრედიტირებული პროგრამების, მათ შორის, განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების განხორციელების უფლებამოსილება, უნივერსიტეტმა შეძლო 2019 სასწავლო წლისათვის სტუდენტების მიღება და მათი შესაბამისი სახელმწიფო გრანტის ტოლფასი შიდა საუნივერსიტეტო გრანტით უზრუნველყოფა.

პროგრამამ ძირეული ცვლილებები განიცადა პირველად აკრედიტაციის შემდეგ. აღნიშნული ცვლილებების პროგრამაში ინტეგრირების საჭიროება გამოიკვეთა უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული ბაზრის კვლევის შედეგების, საერთაშორისო გამოცდილების შესწავლისა და აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და სხვა დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებების ანალიზის საფუძველზე. კერძოდ კი, პირველადი პროგრამა შედგებოდა ორი დამოუკიდებელი მოდულისგან, თუმცა, ვინაიდან სტუდენტთა დაინტერესება კვლევითი მოდულით შედარებით ნაკლები იყო, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული საგნების კომპლექსურად

გადანაწილება და არა მოდულებით სწავლება. გარდა ამისა, წარმოდგენილ პროგრამაში გაძლიერებულია პრაქტიკის კომპონენტი. რეფლექსიური პრაქტიკა, რომელიც 6 კრედიტიდან გაიზარდა 12 კრედიტამდე, განხორციელდება 2 სხვადასხვა სამუშაო გარემოში, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების მიერ მრავალფეროვანი გამოცდილების მიღებას და მათი კრიტიკული აზროვნების განვითარებას. პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება ასევე დასტურდება სხვადასხვა სასწავლო კურსებში პრაქტიკული დავალებებისა და აქტივობების ინტეგრირებით. ასევე აღსანიშნავია, რომ ახალ პროგრამაში მოხდა გარკვეული სასწავლო კურსების ტრანსფორმირება და გაძლიერდა პროგრამის სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკი.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შეესაბამება უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის მიზნია მოამზადოს მაღალკონკურენტია სპეციალისტები, რომლებსაც შეუძლიათ მოქმედება სხვადასხვა საფეხურის საგანმანათლებლო დაწესებულებაში და გააჩნიათ ღრმა, სისტემური, კონცეპტუალური და ინსტრუმენტული ცოდნა სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურების კვლევებისა და ამინისტრირების შესახებ; ასევე, გამოუმუშაოს სტუდენტებს ინფორმაციული წიგნიერების, კრიტიკული აზროვნების, კვლევისა და ტრანსფორმაციული საგანმანათლებლო ლიდერის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, ისევე როგორც გამოუმუშაოს მათ უწყვეტი განათლებისა და სამუშაო გარემოს მართვისთვის აუცილებელი აკადემიურ და პროფესიულ კეთილსინდისიერებაზე დაფუძნებული ავტონომიური პასუხისმგებლობა. შესაბამისად, სტუდენტი აღჭურვილი იქნება სათანადო ცოდნით და უნარებით რათა შეძლოს განათლების პრობლემების დამოუკიდებლად იდენტიფიცირება და გადაწყვეტა, სწავლა/სწავლების პროცესის წარმართვა, ეთიკური ნორმების დახვა და სხვა. აღნიშნული მიზნების მიღწევა უზრუნველყოფილია პოტენციური სტუდენტებისთვის შეთავაზებული პროგრამის შინაარსით. იგი ცალსახად კომპლექსურია, სტუდენტებისთვის შეთავაზებული სავალდებულო და არჩევითი საგნების რაოდენობა და მოცულობა უზრუნველყოფს განათლების სპეციალისტისთვის საჭირო ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ჩამოყალიბებას. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის რუკა ნათლად წარმოადგენს თითოეული სასწავლო კურსის შედეგად პროგრამით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

პროგრამის მიზანი სრულიად გააზრებული და გაზიარებულია პროგრამის შემუშავებაში ჩართული პირების მიერ. პროგრამის შემუშავებაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს მკაფიოდ აქვს გააზრებული პროგრამის საჭიროება. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის განცხადებული მიზნის საჯაროობას, აღნიშნული ხელმისაწვდომია როგორც უნივერსიტეტის ვებ გვერდზე, ასევე, ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეებს სხვადასხვა საინფორმაციო შეხვედრებზეც მიეწოდებათ.

წარმოდგენილი პროგრამა ცალსახად ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს. შესწავლილი და გაანალიზებული იქნა აშშ-ს და ევროპილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი მიმართულების პროგრამები. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება რომ

განხილული იყო ლონდონის მიდლსექსის უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა, ჟენევის შვეიცარული UMEF უნივერსიტეტის განათლების ლიდერობის სამაგისტრო პროგრამა, ლოს-ანჯელესის კალიფორნიის უნივერსიტეტის მართვის სამაგისტრო პროგრამა და კანზას უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა. შესაბამისად, წარმოდგენილი პროგრამის სასწავლო კურსები შესაბამისობაშია არსებულ ანალოგებთან.

ადგილობრივი შრომის ბაზრის კუთხით, გაანალიზდა www.jobs.ge -ზე განთავსებული პროფილური ვაკანსიები და იდენტიფიცირებული იყო ის პროფესიული უნარ-ჩვევები, რომლებიც მოთხოვნილია შრომის ბაზარზე. აღნიშნული, ასევე განხილული იყო განათლების სფეროს განვითარების კუთხით სახელმწიფოს მიერ განცხადებული ხედვისა და სტრატეგიის კუთხით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მისია
- განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამა
- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა
- შრომის ბაზრის კვლევა
- განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის განვითარების ჯგუფის შეხვედრის ოქმი #02, 2019 წლის 5 ივლისი
- განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის განვითარების ჯგუფის შეხვედრის ოქმი #03, 2019 წლის 8 ივლისი
- განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის განვითარების ჯგუფის შეხვედრის ოქმი #04, 2019 წლის 25 ივლისი
- განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის განვითარების ჯგუფის შეხვედრის ოქმი #05, 2019 წლის 2 აგვისტო
- განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის განვითარების ჯგუფის შეხვედრის ოქმი #06, 07.08.2019
- განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის განვითარების ჯგუფის შეხვედრის ოქმი #07, 17.08.2019
- ინფორმაცია პროგრამის განვითარების ჯგუფის მუშაობის შესახებ
- უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი
- გამოკითხვის შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

<p>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა 5 (ხუთი) სწავლის შედეგს მოიცავს, რომლებიც შესაბამისობაშია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრული მე-7 დონის კვალიფიკაციის ელემენტებთან და ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. მიუხედავად იმისა, რომ სწავლის შედეგები ტექნიკურად არაა გაყოფილი ცოდნა - გაცნობიერების, უნარებისა და პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის მიხედვით, შინაარსობრივად, წარმოდგენილი შედეგები აკმაყოფილებს მოთხოვნებს და სრულად შეესაბამება პროგრამის მიზნებს.</p> <p>წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრების შედეგად წარმოჩინდა, რომ პროგრამის შედეგები შემუშავებულია მონაწილეობითი პრინციპის გამოყენებით. სამუშაო პროცესში ჩართული იყო აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და დამსაქმებლები. ჩატარებულია ბაზრის კვლევა, რომლის შედეგადაც შემუშავებული რეკომენდაციები ასახულია პროგრამაში. ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, გაძლიერდა პრაქტიკული კომპონენტის ინტეგრირება სწავლა/სწავლების პროცესში, თითოეული სასწავლო კურსი დაიტვირთა შესაბამისი პრაქტიკული დავალებებით. შესაბამისად, სწავლის მიზნებისა და შედეგების ჩამოყალიბების პროცესში გათვალისწინებული ის აუცილებელი უნარ-ჩვევები და კომპეტენციები, რომელსაც პოტენციური კურსდამთავრებული უნდა ფლობდეს შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობისთვის. კერძოდ, კურსდამთავრებული ექნება სიღრმისეული ცოდნა განათლების თანამედროვე კონცეფციების, სისტემის, ორგანიზაციის მართვის, ლიდერობისა და კვლევის თეორიებისა და მეთოდების შესახებ. ასევე, იგი განმარტავს განათლების კომპლექსურობას, ინკლუზიურობასა და პროფესიული ეთიკის მნიშვნელობას; შეუძლია შეიმუშაოს და დანერგოს საგანმანათლებლო და ორგანიზაციული ამოცანების უნრთიერთდამაკავშირებელი სტრატეგია; იკვლევს განათლების სფეროში არსებულ პრობლემურ საკითხებს და აყალიბებს საკუთარ დასკვნებს. სტუდენტი შეძლებს იმსჯელოს აკადემიური და პროფესიული საზოგადოების წინაშე საკუთარი დასკვნების</p>

შესახებ. ზემოთ აღნიშნული სწავლის შედეგების გათვალისწინებით, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონის შესაბამისად, სტუდენტს ექნება უნარი, განათლების სფეროს შესახებ ჩამოყალიბებული კომპლექსური ცოდნაზე დაყრდნობით, ჩამოაყალიბოს არსებული პრობლემების გააზრებისა და მოგვარების ინოვაციური გზები და პასუხისმგებლობა აიღოს საკუთარი თუ სხვათა პროფესიულ განვითარებაზე.

გასაუბრების შედეგად წარმოჩინდა, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში, ჩართული იყვნენ კურსდამთავრებულები და მოქმედი სტუდენტები. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოცემულია სტუდენტთა გამოკითხვის კითხვარები, ანალიზი და რეკომენდაციები. გასაუბრების დროს, სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები გათვალისწინებულია პროგრამის შინაარსსა და შედეგებში. კერძოდ, სწორედ სტუდენტების მოთხოვნა იყო სასწავლო საგნების არა მოდულულებით დაყოფა, არამედ კომპლექსურად გადანაწილება, შესაბამისად, წარმოდგენილ პროგრამაში გაერთიანებულია ადმინისტრირების და კვლევის მოდულები. ასევე, ვინაიდან სტუდენტთა უმეტესობა უკვე დასაქმებულია, მათი თხოვნის შესაბამისად გადაიხედა სასწავლო საგნების წინაპირობები, რაც მეტ მოქნილობას სძენს წარმოდგენილ პროგრამას.

გასაუბრების დროს ცალსახად გამოიკვეთა აკადემიური პერსონალის ჩართულობა პროგრამის მომზადების პროცესში, აღნიშნული ასევე დასტურდება წარმოდგენილი ოქმებით. ჩართული აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების გათვალისწინებით, მოხდა მათ შორის ფუნქციების გადანაწილება, თუმცა, ისინი ასევე აქტიურად იყვნენ ჩართულები სხვადასხვა კომპონენტების შემუშავების პროცესშიც. მიუხედავად მონაწილეობით პრინციპის ხელშეწყობისა, გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტის მიერ არ განხორციელებულა პროგრამის, მისი მიზნების, შედეგებისა და შინაარსის საბოლოო ფორმულირების გაცნობა შემუშავების პროცესში ჩართული პირებისთვის. დამსაქმებლები არ იცნობენ პროგრამის დოკუმენტის საბოლოო სახეს, ასევე სტუდენტებს არ აქვთ დეტალური ინფორმაცია პროგრამის საგნობრივი განფენილობისა თუ სხვა კომპონენტების შესახებ.

პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში არსებობს სწავლის შედეგების შეფასების გზამკვლევი. რომელიც წარმოადგენს სახელმძღვანელო დოკუმენტს კურსკულუმის რუკის შედგენის მეთოდებსა და შესაბამის მაგალითების შესახებ, განსაზღვრავს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკის შედგენის პრინციპებსა და ფორმებს, ასევე სწავლის შედეგების შეფასების გეგმის შედგენის მაგალითებს. გზამკვლევში ასევე განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცედურები და მასში ჩართული პირები. შესაბამისად, წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვის პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, რომლის განფენილობა სრულიად ლოგიკურია. ასევე, წარმოდგენილი და შესწავლილი იყო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის რუკა, რომელიც ნათლად გამოხატავს თითოეული სასწავლო კურსის შედეგებზე გასვლას. აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსები დიფერენცირებულია სამი დონეზე, გაცნობა, გაღრმავება და განმკტიცება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსების სწავლის შედეგებზე გასვლის ამსახველი კურიკულუმის რუკა მოიცავს მხოლოდ

სავალდებულო და პრაქტიკისა და კვლევის კურსებს, ხოლო არჩევითი კურსები არ არის წარმოდგენილი შედეგებთან მიმართებაში, ასევე არაა ისინი განფენილი სწავლის დონის მიხედვით. შესაბამისად, იმისათვის რომ სტუდენტებმა შეძლონ პროგრამაში შემავალი ყველა სასწავლო კურსის კომპლექსური გააზრება და ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება არჩევით კურსებთან მიმართებაში, სასურველი იქნება წარმოდგენილი იყოს მათი კონტრიბუციაც პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებაში.

უნივერსიტეტის მიერ ასევე წარმოდგენილი იყო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების და სამიზნე ნიშნულების მიღწევის ანალიზის პერიოდულობის სქემა, რომელშიც წარმოდგენილი შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები ძირითადად არის სამაგისტრო ნაშრომის დაცვა და დამსაქმებელთა თუ კურსდამთავრებულთა გამოკითხვა. პერიოდულობის თვალსაზრისით, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისა და სამიზნე ნიშნულების მიღწევის ანალიზი პირდაპირი შეფასების მეთოდების შემთხვევაში დაგეგმილია ყოველწლიურად, შესაბამისად, შესაძლებელია მონიტორინგის თვალსაზრისით, მეტად მიზანშეწონილი იყო აღნიშნულის სემესტრულად ანალიზი. არაპირდაპირი შეფასების შემთხვევაში კი, წარმოდგენილი 2 წლიანი ვადა აბსოლუტურად ლოგიკურია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გზამკვლევი
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების და სამიზნე ნიშნულების მიღწევის ანალიზის პერიოდულობის სქემა.
- შრომის ბაზრის კვლევა და ანალიზი
- სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა კვლევა და შედეგების ანალიზი

რეკომენდაციები:

- მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს პროგრამის მიზნების, შედეგების ან შინაარსობრივი მხარის შესახებ მუდმივი კომუნიკაცია პროგრამის ჩამოყალიბებაში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებთან. აღნიშნული გაზრდის პროგრამის განვითარების პერსპექტივებს მუდმივი დიალოგის რეჟიმში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სასწავლო კურსების სწავლის შედეგებზე გასვლის ამსახველი კურიკულუმის რუკა მოიცავდეს არა მხოლოდ სავალდებულო და პრაქტიკისა და კვლევის კურსებს, არამედ გააზრებული და წარმოდგენილი იყოს ასევე არჩევითი კურსების განფენილობა პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებაში და სწავლის დონის მიხედვით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

<ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას გააჩნია რამდენიმე წინაპირობა. კანდიდატს უნდა გააჩნდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ნებისმიერ სფეროში, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საფუძველზე. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებით ვლინდება ცოდნის ზოგადი დონე არჩეული სპეციალობის კუთხით და ინგლისური ენის კომპეტენცია. ინგლისური ენის ტესტისგან შეიძლება გათავისუფლდეს კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სერთიფიკატს (TOEFL PBT, TOEFL IBT, IELTS, Cambridge Exam), ან ვისაც გავლილი აქვს ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის სრული ან არასრული კურსი.

პროგრამის დოკუმენტში ასევე განსაზღვრულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვადებში და წესით. ასევე, პროგრამაზე ჩარიცხვის შესაძლებლობა ეძლევათ უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

შესაბამისად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, კერძოდ კი მოიზიდოს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის პირები, რომლებიც შეძლებენ კომპლექსური პროგრამის დაძლევის. დაშვების პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ მოთხოვნილი იყო ინგლისური ენის შიდასაუნივერსიტეტო ტესტის ნიმუში და დადგინდა, რომ იგი ნამდვილად შეესაბამება B2 დონეს. ასევე, გამოიკვეთა, რომ პოტენციური კანდიდატის ზოგადი ცოდნის შეფასება ხდება შემდეგი კომპონენტების მიხედვით: მოტივაცია, ლოგიკური მსჯელობა, კომუნიკაცია და დასკვნის უნარი. შესაბამისად, ვინაიდან პროგრამაზე ჩარიცხვა შეუძლია ნებისმიერი ბაკალავრიატის ხარისხის ნებისმიერი სფეროს წარმომადგენელს, დასმული შეკითხვები ძირითადად შეეხება განათლების სფეროში არსებულ პრობლემებს და გამოწყვეტებს. შესაბამისად, იზომება კანდიდატების ლოგიკური მსჯელობა და უნარები, რაც მიზანშეწონილია.

საგანმანათლებლო პროგრამების მიღების წინაპირობის შესახებ ინფორმაცია, ასევე საგამოცდო სავარაუდო საკითხები ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის. ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე <http://eeu.edu.ge/სწავლა/მიღება/მაგისტრატურა>.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- გასაუბრების შედეგები

<ul style="list-style-type: none"> სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვა და შედეგების ანალიზი
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>o გოთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</p> <p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>წარმოდგენილი პროგრამის შინაარსი, ტექნიკური თვალსაზრისით, შედგენილია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად (მუხლიდ 46²). სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობაა 4 (ოთხი) სემესტრი.</p>

სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა. საერთო ჯამში, განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS, რომელთაგან სავალდებულო სასწავლო კომპონენტი შეადგენს 72 ECTS (მათ შორის, 60 ECTS განკუთვნილია ძირითადი სასწავლო კურსებისთვის, ხოლო 12 ECTS რეფლექსიური პრაქტიკისთვის), არჩევითი 18 ECTS და სამაგისტრო ნაშრომი - 30 ECTS. პროგრამა შედგენია უნივერსიტეტში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესის“ მიხედვით, რომელიც არეგულირებს უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების და მათში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესსა და პროცედურებს. შესაბამისად გათვალისწინებული პროგრამის მთელი ციკლის განმავლობაში სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა. აღნიშნული დადასტურებულია როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე ინტერვიუების შედეგად.

პროგრამის შინაარსის განსაზღვრის პროცესში გათვალისწინებული იყო ფაკულტეტზე დაგროვილი 5 წლიანი გამოცდილება, ასევე დამსაქმებლების, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების/კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები. პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსებში კრედიტების გადანაწილების სისტემა ლოგიკურადაა გააზრებული, სასწავლო საგნები ძირითადად შემოიფარგება 6 ECTS, ხოლო პრაქტიკის კომპონენტი 12 ECTS-ით. მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა სრულიად შეესაბამება საგნების შინაარსობრივ დატვირთვას და ზოგადად, რეგულირდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად. სასწავლო კურსებში წამოდგეილი საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განფენილობა ლოგიკურია და გამოხატავს ინდივიდუალური საგნის საჭიროებას და კომპლექსურობას.

პროგრამის სიძლიერეა სხვადასხვა კომპექსური, თეორიული საგნები, რომლებიც განათლების სფეროს დიაქრონულ და სინქრონულ ჭრილში განიხილავს. პროგრამის მიერ შემოთავაზებული არჩევითი კურსების მრავალფეროვნება უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ ცოდნის კონკრეტული მიმართულებით გაღრმავებას. სტუდენტებს საშუალება ეძლევათ 8 (რვა) სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსებიდან, აირჩიონ 3 (სამი).

პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაურების შედეგად დასტურდება, რომ სასწავლო საგნები დალაგებულია იმგვარად რომ სრულად უზრუნველყოფილი იყოს კვლევისა და ადმინისტრირების კომპეტენციების დაფარვა. ამავდროულად, სამიზნედ იქნა აღებული განათლების მართვის პროგრამაზე გადასვლა კლასიკური განათლების მეცნიერებების მიხედვით. სემესტრულად საგნების განფენილობა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას ეტაპობრივად. გაცნობა - გაღრმავება - განმტკიცების პრინციპზე დაფუძნებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესიწინამდებარე წესი
- განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
<ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება
<p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

2.3. სასწავლო კურსი
<ul style="list-style-type: none"> ➤ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
<p>სამაგისტრო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს 10 (ათი) სავალდებულო, 8 (რვა) არჩევით სტატუსის სასწავლო დისციპლინას, პრაქტიკულ (რეფლექსური პრაქტიკა) და კვლევით (სამაგისტრო ნაშრომი) კომპონენტებს. წარმოდგენილი სასწავლო კურსები შინაარსობრივად კომპლექსურია და სრულად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. მეტიც, წარმოდგენილი საგნები თვისობრივად ხელს უწყობს სტუდენტებს შეიძინონ განათლების სფეროს შესახებ ჰოლისტური ხედვა, სასწავლო კურსების სემესტრულად დალაგება განპირობებულია პრინციპით ცოდნა - გაღრმავება - განმტკიცება.</p>

აქვე აღსანიშნავია, რომ გასაუბრების დროს, სხვადასხვა დაინტერესებულმა მხარემ სასწავლო პროგრამის შედეგად სტუდენტისთვის გადაცემული ფართო თეორიული ცოდნა დადებითად შეაფასა.

წარმოდგენილ პროგრამაში სავალდებულო თუ არჩევითი საგნები ძირითადად 6 კრედიტიანია, მხოლოდ პრაქტიკის კომპონენტისთვის არის გამოყოფილი 12 კრედიტი, ხოლო სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს 30 კრედიტს. აღნიშნული შეესაბამება ECTS კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სახელმძღვანელო პრინციპებს და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა რეგულაციებს. წარმოდგენილი სილაბუსების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ შინაარსი შეესაბამება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს, სტუდენტებს სთავაზობს რელევანტურ დატვირთვას და ასათვისებელ მასალას. მიუხედავად კრედიტ ქულების უნიფიცირებული განაწილებისა, სასწავლო საგნებში წარმოდგენილი საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები დიფერენცირებულია და უზრუნველყოფს თითოეული საგნის ინდივიდუალური საჭიროებას.

აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგად აღინიშნა, რომ თითოეულ სასწავლო კურსში წარმოდგენილი შუალედური და დასკვნითი შეფასების კომპონენტები პასუხობს აღნიშნული საგნით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ აკადემიურ პერსონალს ეძლევა სრული დამოუკიდებლობა საკუთარი სასწავლო კურსის შეფასების სისტემის განსაზღვრასთან დაკავშირებით. ამავდროულად, აკადემიური პერსონალი აღნიშნავს, რომ მათ ასევე მიწოდებული აქვთ ზოგადი რეგულაციები აღნიშნულთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში მოცემულია საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის სქემა, რაც ნამდვილად საუკეთესო პრაქტიკაა და უზრუნველყოფს სტუდენტისთვის საგანთან დაკავშირებით ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებას.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად შეისწავლა თითოეული საგნის სწავლის შედეგები. აღსანიშნავია, რომ ტექნიკური თვასაზრისით, ისინი არაა დალაგებული ცოდნა/გაცნობიერების, უნარებისა და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობის. შესაბამისად, სწავლის შედეგების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით დალაგება გაცილებით მეტ სიცხადეს შექმნდა პროგრამას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ასევე რჩება წარმოდგენა რომ ზოგიერთი საგნის სწავლის შედეგები არ შეესაბამება უმაღლესი განათლების მაგისტრატურის საფეხურს, კლასიფიკაციის მე-7 დონეს (მაგალითად: განათლების სოციალოგიაში „განმარტავს განათლების ფილოსოფიასა და სოციოლოგიაში გამოყენებულ მნიშვნელოვან ტერმინებს“; ასევე, სილაბუსების უმეტესობაში მეორდება (საგნის სახელის ცვლილებით) შემდეგი ფორმულირება: „აჩვენებს სტრატეგიული მენეჯმენტთან დაკავშირებული უახლესი ინფორმაციის, მონაცემების და ლიტერატურის დამოუკიდებლად მოძიების და მათი ადეკვატურად ინტერპრეტაციის უნარს“ (სასწავლო საგანი: სტრატეგიული მენეჯმენტი); „აჩვენებს განათლების ეკონომიკასთან დაკავშირებული უახლესი ინფორმაციის, მონაცემების და ლიტერატურის დამოუკიდებლად მოძიების და მათი ადეკვატურად ინტერპრეტაციის უნარს“ (სასწავლო საგანი: განათლების ეკონომიკა). ერთის მხრივ, აღნიშნული ფორმულირება არ შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი განსაზღვრული მე-7 დონის სირთულის განმსაზღვრელი ელემენტებს, ხოლო, მეორეს მხრივ, უმჯობესია საგნების

<p>ინდივიდუალური სპეციფიკის გათვალისწინება ცოდნა/გაცნობიერების, უნარებისა და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობა აღწერის დროს. (ასევე საგნები „განათლების მენეჯმენტი და ლიდერობა“ , „განათლების სისტემები“).</p> <p>სილაბუსებში წარმოდგენილი ლიტერატურა შეესაბამება განათლების სფეროში არსებულ ძირითად მიმართულებებს. შერჩეული ლიტერატურა თანამედროვეა და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის როგორც წიგნის, ასევე ელექტრონული ფორმითაც. აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ყოველთვის მზადაა აკადემიური პერსონალის მოთხოვნის საფუძველზე განაახლოს ლიტერატურა და ხელმისაწვდომი გახადოს იგი სტუდენტებისთვის.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა • სასწავლო კურსების სილაბუსები • გასაუბრების შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • სასურველია დაიხვეწოს სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმულირება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი განსაზღვრული კვალიფიკაციის სირთულის მე-7 დონის ელემენტების მიხედვით. • მნიშვნელოვანია სასწავლო კურსების სწავლის შედეგების დალაგება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №69/ნ-ის მიხედვით, მოთხოვნების შესრულების განსაზღვრული ვადაა 2020 წლის 30 სექტემბერი, სწავლის შედეგების შესაბამისად დალაგება მეტ სიცხადეს შემატებს პროგრამის დოკუმენტს და თითოეული საგნის სწავლის შედეგებს.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> • თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში მოცემულია საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის სქემა, რაც ნამდვილად საუკეთესო პრაქტიკაა და უზრუნველყოფის სტუდენტისთვის საგანთან დაკავშირებით ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებას.
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია სტუდენტების მიერ პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარება. აღნიშნული საკითხის გაძლიერების საჭიროება საგანმანათლებლო პროგრამაში დადასტურდა როგორც პოტენციური დამსაქმებლების, ასევე კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგად. შესაბამისად, განახლებული პროგრამა პრაქტიკულ უნარ-ჩვევების განვითარების რამდენიმე კომპონენტით უზრუნველყოფს.

სტუდენტებს საშუალება აქვთ გაიარონ საგანი „კვლევის მეთოდები განათლებაში“ (6 ECTS). სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტს შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა განათლების სფეროში კვლევის ჩატარების ძირითადი პრინციპებისა და მეთოდების შესახებ და გამოუმუშავოს საკუთარ პრაქტიკაზე დაფუძნებულ საგანმანათლებლო გარემოში კვლევის მომზადებისა და ჩატარების უნარი. აღნიშნული საგანი ასევე წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის მომზადების წინაპირობას. აღნიშნული საგნის შუალედური გამოცდა კომბინირებულია, შესაბამისად მოიაზრებს სტუდენტის მიერ ემპირიული კვლევის კრიტიკას და მის წარმოდგენას აუდიტორიის წინაშე. გარდა ამისა, დასკვნითი გამოცდისთვის საჭიროა ჯგუფური დავალების -კვლევის პროსპექტუსის შესრულება და მისი საჯარო პრეზენტაცია.

საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი რეფლექსიური პრაქტიკა, რომლის გავლის შედეგად სტუდენტი იღებს 12 ECTS. რეფლექსიური პრაქტიკა მოიაზრებს სტუდენტის მიერ განათლების სფეროს ორ სხვადასხვა სტრუქტურაში მონაწილეობას, რაც უზრუნველყოფს კონკრეტული უნარების განვითარებას სხვადასხვა გარემოში, რაც მეტად სასარგებლოა სტუდენტებისთვის. შესაბამისად, უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთშეთანხმების მემორანდუმები 30 დაწესებულებასთან, მათ შორის საჯარო და

კერძო სკოლებთან, ასევე განათლების სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან. პრაქტიკის მონიტორინგსა და შეფასებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის პერსონალი, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია და პრაქტიკული გამოცდილება.

პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება პროგრამაში ასევე გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის მიერ. წარმოდგენილი სილაბუსების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ როგორც სასწავლო პროცესში, ასევე შეფასების სისტემაში ინტეგრირებულია შესაბამისი კომპონენტები, როგორცაა ჯგუფური მუშაობა, პრეზენტაცია, შემთხვევების ანალიზი და ა.შ.

განათლების კვლევების და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტია სამაგისტრო ნაშრომი. უნივერსიტეტში მოქმედებს განათლების კვლევების და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესი. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს როგორც სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურას, ხელმძღვანელის შერჩევას და მის მიერ სამაგისტრო ნაშრომის მართვის პროცესს, ასევე, ნაშრომის შეფასების სისტემას. განათლების კვლევების და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულება დასტურდება სამაგისტრო ნაშრომის შესრულებით და დაცვით (პრეზენტაცია, დისკუსია). სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და მისი საჯარო დაცვის მიზანია ჩამოუყალიბოს სტუდენტს შერჩეულ სფეროში კვლევის დამოუკიდებელად განხორციელების, მიღწეული შედეგების წარმოჩენისა და საკუთარი მსჯელობის საჯაროდ არგუმენტირებულად წარმოდგენის უნარი. გასაუბრების შედეგად სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ისინი იღებენ შესაბამის მითითებებსა და რჩევებს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებისგან. მათ შეუძლიათ ხელმძღვანელის არჩევა საკუთარი ინტერესებიდან და თემის სპეციფიკიდან გამომდინარე. აღნიშნული ასევე დასტურდება აკადემიური პერსონალის მიერ.

უნივერსიტეტი მუდმივად უზრუნველყოფს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართვას. გასაუბრების პროცესში სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ისინი მონაწილეობას იღებდნენ როგორც ადგილობრივ კომფერენციებში და სემინარებში მსმენილის და/ან მომხსენებლის რანგში, მათ ასევე ჰქონდათ ზემო ავსტრიის (ლინცი) უნივერსიტეტის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა
- განათლების კვლევების და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესი
- სასწავლო საგნების სიბუსები
- გაფორმებული მემორანდუმები
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
<ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება
<p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების განმახორციელებელი პირების მიერ სტუდენტისთვის სწავლება წარმოებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2007 წლის 5 იანვრით დათარიღებული ბრძანება #3-ის შესაბამისად. ამგვარად, სილაბუსების შესწავლის და გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ლექტორები დანამდვილებით იყენებენ სხვადასხვა მეთოდებს, როგორცაა ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული სწავლება და სხვა. ამასთანავე, მეთოდების გამოყენება შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, სასწავლო კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს.</p>

აკრედიტაციის ვიზიტის დროს სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგად წარმოჩინდა, რომ სტუდენტები იცნობენ აღნიშნულ მეთოდებს, ხოლო ლექტორები სწავლების პროცესში ითვალისწინებენ მათ ინდივიდუალურ საჭიროებებს. გარკვეულ შემთხვევებში აღინიშნა კიდევ, რომ ლექტორი ითვალისწინებს ჯგუფის მომზადების და ცოდნის დონეს, რის საფუძველზეც შესაძლებელია როგორც შინაარსის გადახედვა, ასევე სწავლების მეთოდების შეცვლა.

უნივერსიტეტში მოქმედებს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“, რომელიც განსაზღვრავს სასწავლო კურსების შედგენისა და შეფასების შესაძლებლობას სტუდენტების ინტერების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად, ასევე უზრუნველყოფს მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- გასაუბრების შედეგები;
 - განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
 - თვითშეფასების ანგარიში
 - „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“;
 - სასწავლო საგნების სილაბუსები
 - გამოკითხვის შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სილაბუსების შესწავლის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სტუდენტების შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტში დადგენილი პროცედურების შესაბამისად. შუალედური და დასკვნითი შეფასებები მოიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, თითოეულს მიენიჭება განსაზღვრული ქულების რაოდენობა. პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრების შედეგად აღინიშნა, რომ აკადემიურ პერსონალს ეძლევა გარკვეული მითითება შეფასების სისტემასთან დაკავშირებით, თუმცა ისინი თავისუფალი არიან საკუთარი შეხედულებისამებრ უზრუნველყოფ კომპონენტების განაწილებას თუ ქულების მინიჭებას. აღნიშნულს ადასტურებს აკადემიური პერსონალიც.

სასწავლო საგნების სილაბუსებში შეფასების სისტემა ნათლად არის გაწერილი. გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა კომპონენტი და მეთოდი. თუმცა, აღსანიშნავია რომ რამდენიმე საგანში მიზანშეწონილია შესასრულებელი დავალებების ტიპის მეტად დაკონკრეტება სიცხადის მიზნით. მაგალითად, აკადემიური წერის შუალედური შეფასების ერთი-ერთ კომპონენტია პრაქტიკული დავალების შესრულება, თუმცა არაა მითითებული რა ტიპის დავალების შესრულება მოუწევს სტუდენტს. ასევე, განალთების სოციოლოგიაში დასკვნითი გამოცდის კომპონენტია - მონაწილეობა დებატში (სადებატო გუნდის ფარგლებში). აღნიშნული საგნის სილაბუსში არაა მითითებული რა ტიპის დებატზეა საუბარი, სტუდენტი გუნდურად თუ ინდივიდუალურად ფასდება.

უნივერსიტეტში მოქმედებს განათლების კვლევების და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესი, რომელიც უზრუნველყოფს სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისთვის ნათელი კრიტერიუმების შემუშავებას. აღნიშნული დოკუმენტი შეესაბამება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით დადგენილებას.

აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტები იცნობენ შეფასების ფორმებს, კომპონენტებს და მეთოდებს. ლექტორი საჭიროებისამებრ აწვდით მათ ინფორმაციას შეფასების შესახებ, ხდება შედეგების განხილვა. სტუდენტები ასევე იცნობენ უნივერსიტეტში მოქმედ გასაჩივრების სისტემას.

<p>მათ შემდეგ დაესახელებინათ კონკრეტული მაგალითები, როდესაც მათ გამოთქვეს უკმაყოფილება მიღებულ შეფასებასთან დაკავშირებით, რასაც ადეკვატური რეაგირება მოჰყვა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ აღნიშნულ შემთხვევებში მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია, შესაბამისად, მექანიზმი მათთვის სრულიად მისაღებია.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • განათლების კვლევების და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესი • სასწავლო საგნების სილაბუსები • განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის დოკუმენტი • გასაუბრების შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში სტუდენტები სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე და დასაქმებაზე სათანადო ინფორმაციას სხვადასხვა წყაროს გამოყენებით იღებენ. მაგალითისთვის ყოველი სემესტრის დასაწყისისთვის იმართება საინფორმაციო შეხვედრები სტუდენტებთან სასწავლო პროცესსა და უნივერსიტეტში მიმდინარე სხვა საკითხებთან დაკავშირებით. ასევე, ყოველწლიურად იმართება შემაჯამებელი სამუშაო შეხვედრა უნივერსიტეტის რექტორთან განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობების შესახებ.

ინფორმაციას ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების, გაცვლითი პროგრამების და სხვ. შესახებ სტუდენტები იღებენ უნივერსიტეტის ვებგვერდიდან, ადმინისტრაციისგან. პროგრამის კონტინგენტიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ჩართულობა ამ მიმართულებით არის კარგი. დაწესებულების მიერ 2015, 2016 და 2018 წელს მოპოვებული ERASMUS+ გრანტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები და აკადემიური პერსონალი იმყოფებოდნენ მობილობით ზემო ავსტრიის (ლინცი) განათლების უნივერსიტეტში.

ყოველწლიურად ხორციელდება საერთაშორისო, ადგილობრივი სტუდენტური და სამეცნიერო კონფერენციები, მაგისტრანტები სამეცნიერო ხელმძღვანელებთან ერთად აქვეყნებენ პუბლიკაციებს. კურსდამთავრებულებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ მათაც ისევ ეძლევათ შესაძლებლობა გამოაქვეყნონ თავიანთი სტატიები უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ სამეცნიერო შრომების კრებულში. აღსანიშნავია, რომ სისტემატურად ეწყობა საჯარო ლექციები/სემინარები და პროექტები უცხოელი და ქართველი პროფესორების ჩართულობით.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების მიზნით ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში ფიქსირდება შეფასების ფორმები და ინსტრუმენტები, ასევე, სწავლის შედეგების შეფასების რუკები. სტუდენტებთან კონსულტაცია ხდება ფაკულტეტის დეკანის მიერ დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად, თუმცა სტუდენტთა საჭიროებიდან გამომდინარე, სასწავლო კურსის ლექტორთან შეთანხმებით შეიძლება დაინიშნოს დამატებითი საკონსულტაციო საათებიც. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით სტუდენტები ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისგან იღებენ მათთვის აუცილებელ კონსულტაციებს. ამასთან, კომუნიკაცია შეიძლება განხორციელდეს ელექტრონული ფოსტის ან სოციალური ქსელის დახმარებითაც. როგორც სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგებით დგინდება, გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობა უნივერსიტეტის მიერ სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და კონსულტაციებს საშუალოზე მაღალი შეფასებით აფასებს.

სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელი ინფორმაცია (სასწავლო გეგმა, საგამოცდო ცხრილები, მიმდინარე შეფასებები) სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში. სტუდენტებთან გასაუბრებიდან გამომდინარე, ისინი ისურვებდნენ სასწავლო ბაზის მართვის გაუმჯობესებას. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით ადმინისტრაციის მხრიდან უკვე დაწყებულია გარკვეული სამუშაოები.

ინტერვიუს შედეგების საფუძველზე დასტურდება, რომ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი ყოველ შემესტრუღად ატარებს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას. საჭიროების შემთხვევაში ასევე, ტარდება ჩაღრმავებული ინტერვიუები. კვლევის ანგარიში ეცნობა დაინტერესებულ მხარეებს.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის სერვისის განხორციელება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესის მართვისა და უწყვეტი განათლების დეპარტამენტის ფუნქციებში. უნივერსიტეტი ჩართულია სტუდენტური სტაჟირების სახელმწიფო პროგრამაში, ასევე, აქტიურად თანამშრომლობს საჯარო სამსახურის ბიუროსთან, რომელიც ყოველწლიურად უზრუნველყოფს მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების სტაჟირებას საჯარო სამსახურში. სტუდენტთა დასაქმების მიზნით აგრეთვე მოქმედებს შიდასაუნივერსიტეტო სტაჟირების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ფაკულტეტებსა და ადმინისტრაციულ სამსახურებში სტუდენტების სტაჟირებას. სტუდენტებს ასევე შეუძლიათ გაიარონ სტაჟირება ან/და დასაქმდნენ უნივერსიტეტის პარტნიორ ორგანიზაციებში, საერთაშორისო პარტნიორ უნივერსიტეტებში (მაგალითად, ზემო ავსტრიის (ლინცი) განათლების უნივერსიტეტი).

თუმცა, როგორც აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშიდან, ისე სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებიდან გამომდინარე მათი დასაქმების მაჩვენებელი კვალიფიკაციის შესაბამისად 50%-მდეა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- სასწავლო პროცესის მართვისა და უწყვეტი განათლების სამსახურის დებულება
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
- მემურანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ფორმები

<ul style="list-style-type: none"> • სტუდენტების, კურსდამთავრებულების და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი • ინტერვიუს შედეგები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა</p>
<p>მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მოქმედი რეგულაციების თანახმად (იხ. განათლების კვლევების და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესი) მაგისტრანტის მიერ სამაგისტრო თემისა და ხელმძღვანელის შერჩევა, დაშვების წინაპირობების არსებობისას, წარმოებს არაუგვიანეს სწავლების მეოთხე</p>

სემესტრის დაწყებიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში. თუმცა პროგრამის ხელმძღვანელებთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებიდან ირკვევა, რომ თემისა და ხელმძღვანელის შერჩევა არაოფიციალურად მესამე სემესტრში ან უფრო ადრეც შეიძლება მოხდეს. სამაგისტრო ნაშრომის თემისა და ხელმძღვანელის შერჩევა ხდება თავად სტუდენტების მიერ და მათ ამ კუთხით სრული თავისუფლება ეძლევათ. მაგისტრანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორი ან მასთან გათანაბრებული პირი, რომელსაც აქვს მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები. ხელმძღვანელი კონტროლს უწევს მაგისტრანტის მიერ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულებას.

სამაგისტრო თემის სათაურისა და ხელმძღვანელის რეგისტრაციის შემდეგ მაგისტრანტი იწყებს სამაგისტრო კვლევის პროექტზე მუშაობას. სწავლების მეოთხე სემესტრის დაწყებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში, დასრულებული სამაგისტრო კვლევის პროექტს მაგისტრანტი წარუდგენს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს, ხოლო მისი საჯარო პრეზენტაცია წარმოებს ფაკულტეტის დეკანის მიერ შექმნილი კომისიის წინაშე. კომისია ხმათა უმრავლესობით ამტკიცებს მაგისტრანტის სამაგისტრო კვლევის პროექტს, რომლის შემდეგ მაგისტრანტი იწყებს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობას. სამაგისტრო ნაშრომის დასრულების შემდეგ მაგისტრანტი ფაკულტეტს წარუდგენს მაგისტრანტის ხელმძღვანელის წერილობით დასკვნას სამაგისტრო ნაშრომის შესახებ, რომ იგი გაეცნო სამაგისტრო ნაშრომს და ნაშრომი მზად არის დასკვნით შეფასებაზე წარსადგენად.

მაგისტრანტის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები გაწერილია განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესში.

გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ ნაშრომის წერის პროცესი ორივე მხარის კონსტრუქციული თანამშრომლობით მიმდინარეობს, ხელმძღვანელები გარკვეული ინტენსივობით ხვდებიან სტუდენტებს (კვირაში ერთხელ) და აძლევენ უკუკავშირს და კონსულტაციას თემატიკებზე. კერძოდ, ხელმძღვანელი ეხმარება მაგისტრანტს სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურის ფორმირებაში, კვლევის ჰიპოთეზის ჩამოყალიბებაში, ძირითადი წყაროების იდენტიფიცირებასა და მოძიებაში. ასევე, ხელმძღვანელი მაგისტრანტს ეხმარება კვლევითი კომპონენტის გეგმის შედგენაში და კონტროლს უწევს მის შესრულებას. განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაცულია 26 სამაგისტრო ნაშრომი, რომელთა დიდი ნაწილი (42%) ერთი ადამიანის (ასოცირებული პროფესორი) ხელმძღვანელობით შესრულდა, 4 სამაგისტრო ნაშრომი მხოლოდ 2019 წელს. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის რაოდენობრივ მაჩვენებლებში კი ხელმძღვანელებისა და მაგისტრანტების თანაფარდობა მითითებულია, როგორც 1/1-თან. მაგისტრანტთა ხელმძღვანელების პირადი საქმეების და მათ მიერ წაკითხული სასწავლო კურსების სილაბუსების გაცნობის შემდეგ ეჭვგარეშეა მათი კომპეტენცია, კვალიფიკაციის და გამოცდილების ადექვატურება და საკვლევ თემებთან შესაბამისობა. თუმცა, სასურველი იქნებოდა, ბოლო 5 წლის განმავლობაში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაზრდა. ასევე, მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის მიერ განათლების თეორეტიკოსების მოზიდვა, რათა მეტად იყოს უზრუნველყოფილი სამაგისტრო ნაშრომების პოტენციური ხელმძღვანელების დივერსიფიკაცია.

პროგრამის და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან საუბრისას ასევე გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, კერძოდ, ნაშრომზე მუშაობისას მონაცემთა ელექტრონული ბაზების მინიმალური გამოყენება, საერთაშორისო კვლევების მოძიებისა და საკუთარ კვლევებთან შედარების სუსტი უნარები და ა.შ. ამასთან, ნაშრომების შერჩევითი გაცნობისას გამოვლინდა ზოგიერთი ნაშრომის (შესრულებული წინა წლებში: 2017, 2018) ნაწილობრივი შეუსაბამობა სამაგისტრო ნაშრომის დებულების მოთხოვნებთან (აკადემიური წერის სტანდარტები, ლიტერატურის ჩამონათვალი, სტრუქტურა). უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუებისას გამოვლინდა, რომ დაწესებულებას აქვს პლაგიატის ამომცნობი სისტემა, რომელსაც ხელმძღვანელები იყენებენ ნაშრომების შემოწმებისას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესი
- დაცული სამაგისტრო ნაშრომები
- შეხვედრა სამაგისტრო პროგრამის და ნაშრომის ხელმძღვანელებთან

რეკომენდაციები:

- მნიშვნელოვანია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე დამატებითი აკადემიური პერსონალის მობილიზება სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობის მიზნით.
-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის ამაღლების მიზნით სასურველია დამატებით ჩატარდეს ტრენინგები/კონსულტაციები მაგისტრანტებისთვის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში მუშაობასთან, ღირებული სამეცნიერო ნაშრომების ამოცნობასთან დაკავშირებით და სხვ.
- სასურველია გაკონტროლდეს სამაგისტრო ნაშრომის შესაბამისობა აკადემიურ მოთხოვნებთან, კერძოდ, მეტი ყურადღება მიქცეს ნაშრომის სტრუქტურის და აკადემიური წერის სტანდარტების დაცვას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დამტკიცებული „აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი“ არეგულირებს და განსაზღვრავს კონკურსის ჩატარების პროცედურებს და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შერჩეულია საქართველოს კანონმდებლობისა და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად.

განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას ახორციელებს უნივერსიტეტის ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი (6 პროფესორი, მათ შორის 1 უცხოელი, 4 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ-პროფესორი და 4 მოწვეული პერსონალი, მათ შორის 5 აფილირებული აკადემიური პერსონალი), რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, რაც ძირითადად დასტურდება მათი პრაქტიკული გამოცდილებით (საგანმანათლებლო/საექსპერტო/საკონსულტაციო/პროფესიული საქმიანობით). თუმცა, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამდიდრება განათლების სფეროს თეორეტიკოს-მკვლევარებით მნიშვნელოვნად გააძლიერებდა პროგრამის ადამინურ რესურსს და პროგრამის ფარგლებში კვლევების განხორციელების პოტენციალს. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ პროგრამაში ჩართულ პერსონალს აქვს მაგისტრანტის ხელმძღვანელობისთვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება, თუმცა პროგრამის მაგისტრანტთა ამჟამინდელი რაოდენობის და წინა წლების დინამიკის გათვალისწინებით, საჭიროა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების რაოდენობის გაზრდა, მათ შორის ისეთი პროფესორით, რომლებსაც უფიქსირდებათ ბოლო 5 წლის განმავლობაში დარგში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები.

განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების გამოკითხვის და ვიზიტის დროს ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ სტუდენტები პროგრამის ძლიერ მხარედ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს მიიჩნევენ. სტუდენტები აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში ჩაბარების ერთ-ერთ მიზეზად სწორედ ლექტორების კვალიფიციურობას ასახელებენ. კერძოდ, 10 ქულიან სკალაზე ლექტორები სტუდენტებმა 7.8 ქულით შეაფასეს.

პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა განსაზღვრულია უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციებით. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის დატვირთვა მოიცავს სასწავლო საქმიანობას (პროფესორი - 4 სთ., ასოცირებული პროფესორი - 6 სთ., ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი - 8 სთ.), სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობას (პროფესორი - 8 სთ., ასოცირებული პროფესორი - 6 სთ., ასისტენტ-პროფესორი - 4 სთ. და ასისტენტი - 2 სთ.), საკონსულტაციო საათებს (3 სთ.) და საუნივერსიტეტო ღონისძიებებში მონაწილეობას (2 სთ.).

პროგრამაში ჩართული აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის რაოდენობა და მათ შორის ბალანსი ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან და უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას, რაც დასტურდება პერსონალის რაოდენობის სტუდენტებთან თანაფარდობის მაჩვენებლით, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობით.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის დენადობის ბოლო 5 წლის დინამიკა ადასტურებს, რომ პროგრამის მდგრადობა უზრუნველყოფილია. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის დაკავებული თანამდებობიდან წასვლის მიზეზი თითქმის ყველა შემთხვევაში შრომითი ხელშეკრულების ვადის ამოწურვა იყო.

პერსონალის გამოკითხვის შედეგები ადასტურებს, რომ ისინი უნივერსიტეტის პოლიტიკით ზოგადად კმაყოფილები არიან და განხილავენ საკუთარ თავს უნივერსიტეტთან გრძელვადიანი თანამშრომლობის ფორმატში, რაც ასევე ხელს უწყობს პროგრამის მდგრადობას.

განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას ჰყავს ორი ხელმძღვანელი, ამავე უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი. მათ აქვთ განათლების სისტემაში მუშაობის მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილება. თუმცა, პროგრამის თანახმად განათლების სფეროს თეორეტიკოს-მკვლევარის ჩართულობა მნიშვნელოვნად გააძლიერებდა პროგრამის სამეცნიერო-კვლევით პოტენციალს. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ხელმძღვანელები მონაწილეობენ პროგრამის შეფასება-განვითარებაში, ჩართულნი არიან პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში.

პროგრამას ემსახურება ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. ფაკულტეტს წარმოადგენს დეკანი, დეკანის მოადგილე, უფროსი მენეჯერები და მენეჯერები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://eeu.edu.ge>;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
- პროგრამის ხელმძღვანელის, და ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები და მოვალეობები;
- პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- უნივერსიტეტის აკადემიური კონკურსის ჩატარების წესი;
- სტუდენტების და პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის დებულება;
- უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესი და პირობები;
- აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა;
- სტატისტიკური მაჩვენებლები;

ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამდიდრება განათლების სფეროს თეორეტიკოს-მკვლევარებით, რაც მნიშვნელოვნად გააძლიერებს პროგრამის ადამიანურ რესურსს და პროგრამის ფარგლებში კვლევების განხორციელების პოტენციალს.
- რეკომენდირებულია, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების რაოდენობის გაზრდა, მათ შორის ისეთი პროფესურით, რომლებსაც უფიქსირდებათ ბოლო 5 წლის განმავლობაში დარგში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში ყოველწლიურად ხორციელდება პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება. შეფასების მექანიზმებია: სტუდენტების გამოკითხვა, სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის მაჩვენებლებზე დაკვირვება, საუნივერსიტეტო აქტივობებში მონაწილეობის სტატისტიკა და ა.შ. მიღებული მონაცემებისა და მისი ანალიზის საფუძველზე სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური შეიმუშავებს წლიურ სამოქმედო გეგმასა და მასში პერსონალის ჩართვის მექანიზმებს.

ყოველი სემესტრის ბოლოს ხორციელდება სტუდენტების მიერ ლექტორების შეფასება. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ანალიზებს შევსებულ კითხვარებს და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით ფაკულტეტი ახდენს შემდეგი სემესტრის დაგეგმვას და პერსონალის შერჩევას.

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური ყოველწლიურად ახორციელებს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვებასა და მის ანალიზს. ამასთანავე, 2018 სასწავლო წლიდან უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ავსებს წლიურ თვითშეფასების ანგარიშს, რომელშიც დეტალურადაა მოცემული ინფორმაცია მათი სამეცნიერო-კვლევითი აქტივობებისა და მხარდამჭერი მექანიზმების ეფექტიანობის შესახებ. შეფასების შედეგებმა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვამ აჩვენა, რომ საჭიროა უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა. წახალისების მიზნით, უნივერსიტეტში შემუშავდა პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვების სქემა, რომელიც ითვალისწინებს ასევე სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების ანაზღაურების ბონუსურ სისტემას.

უნივერსიტეტი ყოველწლიურად ტარდება საუნივერსიტეტო და/ან საერთაშორისო კონფერენციები, სადაც განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალიც იღებს მონაწილეობას. ამასთან, უნივერსიტეტმა სამჯერ გაიმარჯვა ევროკავშირის საგრანტო კონკურსში და 2015-2018 წლებში მოიპოვა გრანტი Erasmus+Credit Mobility. საგრანტო პროექტი ითვალისწინებს პროფესორ-მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის მობილობას ზემო ავსტრიის (ლინცი) განათლების უნივერსიტეტში. გასულ წლებში პროექტის ფარგლებში ავსტრიაში მივლინებით იმყოფებოდა განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებელი სამი პედაგოგი. მიმდინარე წლის შემოდგომაზე კი დაგეგმილია ორი აკადემიური პერსონალის მოვლინება ავსტრიის განათლების უნივერსიტეტში და ერთი უცხოელი პედაგოგის ვიზიტი აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში.

აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი თანამშრომლობს ლონდონის უნივერსიტეტთან (UCL) და ფრესენიუსის უნივერსიტეტთან. ამ თანამშრომლობების ფარგლებში დაგეგმილია ტრენინგები EEU აკადემიური პერსონალისათვის.

უნივერსიტეტის მიერ განხორციელდა აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება და ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ მნიშვნელოვანია გაიზარდოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მაჩვენებლები. წახალისების მიზნით შემუშავდა მინიმალური სამეცნიერო მოთხოვნები, რაც აკადემიურ პერსონალს ავალდებულებს,

შექმნას მაღალრეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაციები. გარდა ამისა, ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნა სახსრები კვლევითი გრანტების დაფინანსებისთვის და შემუშავდა შიდა საუნივერსიტეტო კვლევითი გრანტის გაცემის წესი.

უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები. პროგრამას ემსახურება 5 აფილირებული აკადემიური პერსონალი. უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ აფილირებულ პროფესორებს აქვთ ხელშეწყობა საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის ჯეროვნად და ხარისხიანად განსახორციელებლად, მათი განვითარების და წახალისების მექანიზმები მოიცავს ტრენინგების ჩატარებას, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის და გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიების/წიგნების დაფინანსებას, სათანადო სახელფასო პოლიტიკას, სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების ანაზღაურების ბონუსურ სისტემას და სხვ. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ბონუსური სისტემით შესაძლებელია ისარგებლოს მოწვეულმა პერსონალმაც, რაც ხელს უწყობს კვალიფიციური პერსონალის მოზიდვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში;
- უწყვეტი განათლების პროგრამების გეგმა-გრაფიკი 2019;
- სტუდენტთა და პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
- სტატისტიკური მაჩვენებლები პერსონალის შესახებ;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები;
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები;
- სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობი მექანიზმები;
- პროგრამაში ჩართული პირების სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;
- საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში, კვლევებსა და ღონისძიებებში პერსონალის ჩართულობის მაჩვენებელი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის გაძლიერების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმების შემუშავება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების და წახალისების მექანიზმები, რომლებიც მოიცავს ტრენინგების ჩატარებას, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის და გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიების/წიგნების დაფინანსებას, სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების ანაზღაურების ბონუსურ სისტემას.
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

4.3 მატერიალური რესურსი
<p>პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სარგებლობაშია ორი კორპუსი, რომელთაგან ერთ კორპუსში მიმდინარეობს სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოები. პროექტით გათვალისწინებულია თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და ტექნოლოგიებით აღჭურვილი ახალი კამპუსის გახსნა შემდეგი სასწავლო წლის დასაწყისისთვის. ამჟამინდელ სასწავლო კორპუსში სტუდენტებისთვის გამოყოფილია აუდიტორიები, შეხვედრებისა და კონსულტაციების ოთახები, საკონფერენციო დარბაზები (დიდი და მცირე), ბიბლიოთეკა, სპორტული და სატრენაჟორო დარბაზი, კაფეტერია. აკადემიურ პერსონალს გააჩნია თავისი სამუშაო სივრცე.</p> <p>კორპუსში ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის სისტემა და ცალკეული ოთახები აღჭურვილია კონდენციონერებით. აუდიტორიები ტექნიკურად აღჭურვილია საპრეზენტაციო აპარატურით. სასწავლო პროგრამის მომსახურე ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფილია ინტერნეტის ქსელში ჩართული ინდივიდუალური</p>

პერსონალური კომპიუტერებით, გააჩნიათ თავისუფალი წვდომა პრინტერებთან და სხვა სახის ტექნიკურ მოწყობილობებთან. სასწავლო კორპუსში უზრუნველყოფილია თავისუფალი წვდომა უსადენო ინტერნეტთან (Wi-Fi).

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ელექტრონული სასწავლო ბაზა. ყველა სახის ფინანსური ოპერაცია მიმდინარეობს მხოლოდ ელექტრონულად (გარდა ქსეროქსის მომსახურებისა), ხოლო, ამჟამად მიმდინარეობს ახალი ელექტრონული ბაზის შექმნის პროცესი, რომელიც აერთიანებს სასწავლო, ფინანსურ და ელექტრონული დოკუმენტ-ბრუნვის სისტემებს.

უნივერსიტეტში დაცულია უსაფრთხოების ნორმები, სპეციალური აპარატურის საშუალებით (სიგნალიზაცია) აღჭურვილია ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასები და უსაფრთხოებას უზრუნველყოფს სახელმწიფო დაცვის პოლიცია. ასევე, ფუნქციონირებს შიდა უსაფრთხოების სამსახური, შენობა აღჭურვილია სათვალთვალო კამერებით, საევაკუაციო გეგმებითა და ცეცხლჩამქრობი აპარატურით.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 2 კომპიუტერული კლასი, სადაც პერსონალური კომპიუტერები ინტერნეტის ქსელით დაკავშირებულია სასერვერო აპარატთან და შესაბამისად უზრუნველყოფილია მუდმივი ინტერნეტით.

პროგრამას გააჩნია საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის მხარდაჭერა, რომელშიც განთავსებულია ქართულენოვანი და უცხოენოვანი წიგნადი ფონდი. წიგნადი ფონდი მოიცავს პროგრამის სილაბუსებით გათვალისწინებულ სავალდებულო ლიტერატურას, სალექციო კურსებს, რიდერებსა და სხვა სასწავლო მასალებს (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომლის შევსება და განახლება ხდება საჭიროებისამებრ. ბიბლიოთეკაში არსებობს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურა. სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები. ლექტორის ბაზა საშუალებას იძლევა, რომ ლექტორმა ელექტრონულ ბაზაში აუტვირთოს სტუდენტებს სასწავლო ლიტერატურა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: <https://eeu.edu.ge/>;
- ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულება;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკითა და სამკითხველო დარბაზით სარგებლობის წესი;
- ელექტრონული სასწავლო ბაზა;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა</p>
<p>პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამის ბიუჯეტი ინტეგრირებულია ფაკულტეტის ბიუჯეტთან. დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტი, ვინაიდან პროგრამა აკრედიტაციის განაცხადის შემოტანის დროს მიეკუთვნებოდა აღნიშნულ ფაკულტეტს. შემდგომ, მოხდა პროგრამის გადატანა ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტზე.</p> <p>ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტის სტრუქტურა მიმართულია სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის განვითარების ხელშეწყობისაკენ. ბიუჯეტში გათვალისწინებულია ფაკულტეტის ფარგლებში დაგეგმილი ტრენინგების, კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებული ხარჯები (15000 ლარი); საერთაშორისო და სტუდენტურ კონფერენციებში, გაცვლით</p>

<p>პროგრამებში და სხვადასხვა საერთაშორისო აქტივობებში მინაწილეობის ხარჯი (25000 ლარი); სტუდენტებისთვის გათვალისწინებული სტიპენდიები და სხვა ტიპის დაფინანსებები, სტუდენტების მხარდაჭერის და წახალისების ხარჯები (26000 ლარი); სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა მატერიალურ-ტექნიკური ხარჯი (10000 ლარი); აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობებისთვის განკუთვნილი თანხა (28000 ლარი); ნორმატიული აქტების, საცნობარო, საბიბლიოთეკო ლიტერატურის, საგამომცემლო-სასტამბო საჭიროებებთან დაკავშირებული (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯები (20000 ლარი); აკადემიური პროგრამების განვითარებასთან დაკავშირებული ხარჯები (10000 ლარი); საერთაშორისო/ადგილობრივი საექსპერტო მომსახურება (5000 ლარი) და სხვ.</p> <p>საჭიროებისამებრ, ფაკულტეტზე ყოველწლიურად განსაზღვრული ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი განიცდის ცვლილებებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ წლების მიხედვით ხარჯვითი ნაწილით გათვალისწინებული აკადემიური, ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის ანაზღაურებისათვის გამოყოფილი თანხების დინამიკა მზარდია.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში; • ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2019 წლის ბიუჯეტი; • აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმა; • ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
<p>პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს უნივერსიტეტში კოორდინირებას უწევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც შედგება 6 თანამშრომლისგან, მათ შორის ერთი მოწვეული ექსპერტისგან. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მუშაობს ცენტრალიზებული პრინციპით და არ ყავს წარმომადგენლები ფაკულტეტების დონეზე. სამსახური პროგრამების შემუშავება/განვითარების კუთხით თანამშრომლობს პროგრამის ხელმძღვანელებთან.</p> <p>უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები ეფუძნება PDCA მიდგომას და ემსახურება უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას, რომელიც ეფუძნება გამჭვირვალობას, ინფორმირებულობას, პროცესებში ჩართულობაზე ორიენტირებულობას, აკადემიური კეთილსინდისიერების და</p>

თავისუფლების პრინციპებს, უწყვეტობას და ანგარიშვალდებულებას. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ფარგლებში გამოიყენება სისტემური და საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევები/შეფასებები, რომელთა შედეგებზე დაყრდნობით მიიღება გადაწყვეტილებები უნივერსიტეტის შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს კონსულტაციების გაწევას აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფასთან, ავტორიზაციასა და აკრედიტაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ განხორციელდა რამდენიმე შეხვედრა პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, საწყის ეტაპზე განხილული იქნა სილაბუსების მიმართ არსებული ახალი მოთხოვნები, ხოლო მომდევნო ეტაპზე სილაბუსები შინაარსობრივად გაანალიზებულ იქნა პროგრამის განვითარების ჯგუფის მიერ. თუმცა, პროგრამის კიდევ უფრო სრულყოფის და დახვეწის მიზნით რეკომენდებულია გაძლიერდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციები ფაკულტეტის დონეზე, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის პაკეტის სრულყოფილად გადახედვას და დახვეწას, ასევე პროგრამის განვითარებაში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებთან უფრო მჭიდრო და სისტემატურ თანამშრომლობას და მათთვის უკუკავშირის დროულ მიწოდებას. ასევე აღსანიშნავია, რომ პროგრამასთან მიმართებით ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების და შეფასების შედეგებზე რეაგირების ანგარიშების შემუშავება მნიშვნელოვნად გააძლიერებს პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, პროცესებს გახდის სისტემატიზირებულს და უფრო გამჭვირვალეს, ამასთან, ადმინისტრაცია და ყველა დაინტერესებული მხარე მიიღებს უკუკავშირის განხორციელებული ქმედებების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები;
- პროგრამის განვითარების ჯგუფის შეხვედრების ოქმები;
- ხარისხის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგები და განხორციელებული ცვლილებები;
- სტატისტიკური მონაცემები;
- უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გაძლიერდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციები პროგრამის დონეზე, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის პაკეტის სრულყოფილად გადახედვას და დახვეწას, ასევე პროგრამის განვითარებაში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებთან უფრო მჭიდრო და სისტემატურ თანამშრომლობას და მათთვის უკუკავშირის დროულ მიწოდებას.
- რეკონდებულია, შემუშავდეს ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების და შეფასების შედეგებზე რეაგირების ანგარიშები პროგრამასთან მიმართებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
<ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება
<p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
<p>უნივერსიტეტი პროგრამის განვითარების მიზნით ითვალისწინებს ავტორიზაციის და აკრედიტაციის დროს მიღებულ რეკომენდაციებს. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, გარე შეფასების მიზნით მოიწვიოს შესაბამისი დარგის ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტები, უზრუნველყოს პროგრამების შეფასება და შეფასების შედეგების თანმიმდევრული იმპლემენტაცია. გარე შეფასების პროცესში, ასევე, შესაძლოა ჩართულნი იქნენ პარტნიორი უნივერსიტეტების წარმომადგენლები. აღნიშნული მექანიზმების გამოყენებით EEU-ში ხორციელდება გარე ხარისხის შეფასების პროცესი.</p> <p>თვითშეფასების ანგარიშით და ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შესაფასებლად გადაეგზავნა საერთაშორისო დარგის სპეციალისტს (არდენის</p>

<p>უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, განათლების დოქტორს), რომლის მოსაზრებებიც გათვალისწინებული იქნა პროგრამაში. გარე შემფასებლის დასკვნა პროგრამაზე დადებითია.</p> <p>გარე შეფასების მიზნებისთვის, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი თანამშრომლობს უცხოურ უნივერსიტეტთან, მაგალითად, ამჟამად მიდლსექსის უნივერსიტეტთან (ლონდონი) მიმდინარეობს ინსტიტუციური აფილირების პროცესი, მათ შორის ისეთი მიმართულებით, როგორცაა აკადემიური პროგრამები, სტუდენტები, აკადემიური პერსონალი, ინსტიტუციური ადმინისტრირება და სხვა.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში; • განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამა; • გარე ხარისხის შეფასების შედეგად განხორციელებული ცვლილებები; • ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები; • პროგრამის გარე შემფასებლის დასკვნა; • ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს - "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე". პროგრამის შეფასების მიზნით ხდება დაკვირვება პროგრამაზე ჩარიცხვების/მოხილობის, პროგრამის დასრულების, კურსდამთავრებულთა დასაქმების დინამიკაზე; აგრეთვე, ხორციელდება სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი; სტუდენტების პროგრამით და ზოგადი კმაყოფილების კვლევები; აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევა და მათი საქმიანობის შეფასება; კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვები. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ გათვალისწინებულ იქნა სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების ხედვა პროგრამის კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით, გაიზარდა პრაქტიკის კომპონენტი 6 კრედიტიდან 12 კრედიტამდე და პრაქტიკა ხორციელდება ორ დაწესებულებაში.

აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მიზნით, ფაკულტეტზე შეიქმნა პროგრამის თვითშეფასების და განვითარების ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან, როგორც პროგრამის ხელმძღვანელები და განმახორციელებლები, ასევე სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. აღნიშნული ჯგუფის ფარგლებში გაიმართა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა, სადაც წარმოდგენილი იყო პროგრამის თავდაპირველი განსახილველი ვერსია, რომელიც განვითარდა და დაიხვეწა როგორც განხორციელებული შიდა კვლევების, ისე გარე შეფასების დროს მიღებული რეკომენდაციებისა და თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ უნივერსიტეტმა 2019 წელს განახორციელა ორი მნიშვნელოვანი კვლევა - „განათლების კვლევების და ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შრომის ბაზართან შესაბამისობის კვლევა“ და „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტების, კურსდამთავრებულების და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი (რაოდენობრივი კვლევა)“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები;

<ul style="list-style-type: none"> • პროგრამის განვითარების ჯგუფის შეხვედრების ოქმები; • ხარისხის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგები და განხორციელებული ცვლილებები; • სტატისტიკური მონაცემები; • უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები; • განათლების კვლევების და ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შრომის ბაზართან შესაბამისობის კვლევა; • აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტების, კურსდამთავრებულების და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი; • ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 48 გვერდი

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	x			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: მარიამ ზანძელაძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: დიანა მჭედლიშვილი



სახელი, გვარი, ხელმოწერა: ნინო ტალიკაძე

